

Khatuna Nishnianidze

ხათუნა ნიშნიანიძე

Tbilisi Theological Academy and Seminary

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**For Understanding the Old Testament Paradigms, Unfamiliar/Unfamiliarity,
Persecution-migration in Hagiography**
**უცხო/უცხოობის, დევნა-მიგრაციის ძველი აღთქმისეული პარადიგმების
გააზრებისთვის ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10921>

Unfamiliarity, as a universal experience of human existence, is understood differently in different eras (ancient, medieval, modern), cultures (Western/Eastern) and religions (Judaism, Christianity, Islam). Based on the texts of the Old Testaments and their exegesis, we outlined the biblical concepts of the unfamiliar/unfamiliarity, longing, images, themes, plots and motives. This gives us an opportunity to examine examples of spiritual and physical unfamiliarity of the characters, examples of their internal and external migration, based on the biblical narratives and its exegesis. Show why internal migration becomes the basis for external migration. Discuss the effects and motives of poverty and exile, voluntary or forced relocation, temporary or permanent departure from their homeland.

Keywords: unfamiliar/unfamiliarity; old testaments; hagiography; identity; place of memory

საკვანძო სიტყვები: უცხო/უცხოობა; ძველი აღთქმა; ჰაგიოგრაფია; მეხსიერების ადგილი

უცხოობა, მწირობა-მსხემობა და ლტოლვილობა ადამიანური არსებობის უნივერსალური გამოცდილებაა. აღნიშნული საკითხები სხვადასხვა ეპოქაში (ანტიკური, შუა საუკუნეები, თანამედროვეობა), კულტურასა (დასავლური/აღმოსავლური) და რელიგიაში (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) განსხვავებულ გააზრებასთან ერთად საერთო მახასიათებლითაც წარმოჩნდება.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში უცხო/უცხოობის/უსამშობლობის, მწირობა/დევნილობა/ლტოლვილობის არქეტიპებისა და ძირითადი კონცეპტების გამოვლენა, შესაბამისი სიუჟეტების, თემების, მოტივებისა და სახე-ხატების ადეკვატური კლასიფიკაცია, მათი სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების ანალიზი და არსებული ლექსიკურ-ტერმინოლოგიური მონაცემების შესწავლა, უპირველესად, უნდა ეფუძნებოდეს ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებსა და მათ ეგზეგეზას, ასევე, წმინდა მამათა სწავლებებსა და გადმოცემებს. საკითხი გააზრებული უნდა იყოს როგორც შუა საუკუნეების რელიგიურ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედვისა და მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების გათვალისწინებით, ასევე, თანამედროვე საღვთისმეტყველო და ფილოლოგიური მიდგომების ჭრილში, ეროვნული და ზოგადლიტერატურული, ზოგადქრისტიანული კონტექსტის გათვალისწინებით. კვლევის აღნიშნულ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ძველი აღთქმის გამოცდილებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი პარადიგმის მოხმობით შემოვიფარგლებით, რომლის გათვალისწინების გარეშე, ზოგადად, შეუძლებელია ქართული ჰაგიოგრაფიული მასალის კვლევა. საბოლოოდ კი, ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების, წმინდა მამათა სწავლება-გადმოცემების ჰაგიოგრაფიულ ტექსტებთან მიმართება-შეჯერების გზით შევძლებთ ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების მიხედვით როგორია უცხო,

უცხოობის, მწირობა-ლტოლვილობის ისტორიული გზა, გამოცდილება, მათი ლიტერატურული წანამძღვრები? როგორია ჰაგიოგრაფიის გმირის შინაგანი და გარეგანი ემიგრაციის ფორმა და შინაარსი? სამკვიდრო მამულის/ადგილის ნებაყოფლობითი და იძულებითი დატოვების სულიერი და ფიზიკური გამოცდილება? რა იწვევს გმირის სულიერ თუ ფიზიკურ უცხოობას და რატომ ხდება გმირის შინაგანი ემიგრაცია გარეგანი/ფიზიკური ემიგრაციის საფუძველი, ან რატომ ხდება ფიზიკურად, გეოგრაფიულად უცხო სულიერად ახლობელი? რატომ ტოვებენ მშობლიურ მხარეს - რა/როგორია გმირის მწირობისა და ლტოლვილობის, სამკვიდრო ადგილიდან/მამულიდან ნებაყოფლობითი და იძულებითი, დროებითი ან მუდმივი გასვლა-გადაადგილების მოტივები? როგორია მკვიდრი მამულის/ადგილისა და სამოღვაწეო ადგილის აღქმა და მათი ურთიერთმიმართების ბუნება? განიცდის თუ არა „ცვალებადობას“ ჰაგიოგრაფიის გმირი ადგილის, ქვეყნის, სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-მსოფლმხედველობრივი, ენობრივი ან ნებისმიერი სხვა ცვლილები-სას? რა არის გმირის გადაადგილება-მიგრაციის მიზანი პერიფერიიდან ცენტრისაკენ და ცენტრიდან პერიფერიისაკენ? ასახავს თუ არა ჰაგიოგრაფია უცხოს/უცხოობისადმი პოზიტიურ და ნეგატიური მიმართებებს და აქვს თუ არა აღნიშნულ ცნებებს ამბივალენტური შინაარსი? რა/როგორია უცხო/უცხოობასთან დაკავშირებული ცნება-ტერმინები, მათი გამოვლენის ლექსიკური ნაირსახეობა და შინაარსი ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში?

უცხოს/უცხოობას, ერთი მხრივ, თან სდევს სევდა, გაუცხოება, დაუცველობის შეგრძნება, იდენტობის კრიზისი, მეხსიერების რეკონსტრუქციისა და შენარჩუნების მცდელობა, მონატრება, იდიალიზება მშობლიური გარემოსი, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოობა, ხეტიალი, ლტოლვილობა გააზრებულა, როგორც განვითარების პერსპექტივა, მსგავსად იმისა, როგორც, ზღაპრის გმირს ეკრძალება უკან მიხედვა/დაბრუნება, როგორც განვითარების პერსპექტივის შემზღვევადი, დამაბრკოლებელი ქმედება. ჰაგიოგრაფიაშიც გასვლა, მშობლიური წიადის დატოვება, ბიბლიური მსოფლხედვის თანახმად, გადარჩენის, ცხოვრების საზრისის ძიებისა და პოვნის, საკუთარი იდენტობისა და კულტურული ღირებულებების კვლავმოპოვებისა და შენარჩუნების ერთ-ერთი მოტივია. უცხოობა, მწირობისა და ყარიბობის აქტი შეიძლება იყოს ღვთით განჩინებული, ეროვნულ-სარწმუნოებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო მისიით გაპირობებული, წმინდა ადგილთა თაყვანისცემისა და ადგილთა საკრალიზაციის სურვილით განსაზღვრული; პიროვნული და ადამიანთა სულიერი ხსნის იდეის აუცილებლობით შთაგონებული. შინაგანი თუ გარეგანი - პიროვნული, მენტალური, პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, სოციალური და სხვა - ფაქტორებით განსაზღვრული.

ძველი აღთქმისეული მიგრაციების ისტორიები შემოგვინახავს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებენ უცხო მიწაზე მყოფი პერსონები პიროვნული, სარწმუნოებრივი და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას, რამდენადაც უცხოობაში მყოფობა სწორედაც იდენტობის კრიზისის სივრცეა. ძველი აღთქმა მამამთავართა და წინასწარმეტყველთა ცხოვრება-მოღვაწეობის მაგალითებით ჰაგიოგრაფიის გმირს სთავაზობს მოდელს: სამოთხის მიღმა, მშობლიურ ან უცხო მხარეში „შინაგან სამოთხეში“ პრინციპთა შინაგანი შენარჩუნების გზით ცხოვრებისა. ამასთანავე, უცხოობა/გადასახლება იდენტობის შენარჩუნებისა და სრულყოფილი, სისხლსავსე ცხოვრების საფუძველი უნდა გახდეს. იერუსალიმში მყოფი იერემია წინასწარმეტყველი ნაბუქოდონოსორის მიერ ბაბილონში გადასახლებულ ებრაელებს მოძღვრავს:

„იმენეთ სახლები და დაემკვდრებით, და დაჰნერგეთ სამოთხეები და ჭამენით ნაყოფნი მათნი./და მიიყვანენით ცოლნი და შვილ-ისხენით, ძენი და ასულნი, და მიიყვანენით ძეთა თქუენთად ცოლებნი და ასულნი თქუენნი მისცენით ქმართა, და შუენენ ძენი და ასულნი, და განმრავლდით მუნ და ნუ შეჰმცირდებით./და იძიეთ მშვედობად ქუეყანისა, რომლისა მიმართ განგასახლენ თქუენ მუნ და ილოცევდით მის ძლით უფლისა მიმართ, რამეთუ მშვედობასა მისსა შინა იყოს მშვიდობა თქუენი“ (იერ. 29: 5-7).

უცხო ქვეყანაში იმიგრირებულ ადამიანებს მუდმივად უწევთ შექმნან და განავითარონ სიმბოლური „შემსხენებლები“, შექმნან „მეხსიერების მატერიალური და არამატერიალური ადგილე-

ბი“; – აღნიშნავს იან ასმანი (2015, გვ.332) სწორედ *“მეხსიერების მატერიალურ და არამატერიალურ ადგილებს”* ქმნიან უცხო მიწაზე, უცხოთა შორის ძველი აღთქმის მამამთავრები და წინასწარმეტყველები, ზოგადად, ღვთის რჩეული ერი, რაც, უპირველესად, დასტურდება ღვთის მორჩილებით, რჯულის ერთგულებით (დან. 1: 8), (დან. 6: 10), კერძოდ, ლოცვითი ცხოვრების წესით, სხვადასხვა ყოფითი თუ საკრალური რიტუალებისა და დღესასწაულების ხსოვნა-აღნიშვნით (გამ. 20:8; ეზეკ. 20:12; ნეემ. 1; ესთ. 4), ენისა და გენიალოგიის/წინაპართა, განსაკუთრებით, საფლავების ერთგულებით. პიროვნული ღირსების - სინდისისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებითა და მათი უპირობო, უკომპრომისო დაცვით (დაბ. 39:9; ესთ. 4:16; 7), ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრების წესით: *„რამეთუ უწყოდეს, ვითარმედ ამცნოს ძეთა მისთა და სახლსა მისსა მის თანა და იცნან გზანი უფლისანი, რამეთუ ძეთა მისთა ქმნად სიმართლისა და მშჯავრისა, რათა მოაწივნეს უფალმან აბრაჰამის ზედა ყოველი, რაოდენი თქუნა მისსა მიმართ“* (დაბ.18:19).

იან ასმანის აზრით, *„კულტურული მეხსიერება მატერიალური სიმბოლიზაციის საშუალებებით ფორმალიზებასა და გამყარებას საჭიროებს, მის გავრცელებასა და ცირკულირებას უზრუნველყოფს სწავლების, ტრანსმისიისა /გადაცემის და ინტერპრეტაციის ინსტიტუტები“* (ასმანი, 2015, გვ. 332). ძველი აღთქმისეული სამყარო განსაკუთრებულ პატივს მიაგებს წინაპართა ხსოვნას (იაკობი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს წინაპრებს, ესწრაფვის დაიფლას იქ, სადაც *„დაჰვლეს აბრაჰამ და ცოლი მისი სარრა, ისაკ და ცოლი მისი რებეკა და მუნ დაფლეს ლია მოგებულსა მას აგარაკსა და რომელ-იგი არს მას შინა ქუაბი ძეთაგან ქეტისთა“* (49:31)), რაც ყველაზე ხელშესახებად საფლავთა თავყანისცემით გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებშიც საფლავის თავყანისცემის მოტივი აქტიურად ცირკულირებს, რაც საფუძველია წმინდანის ღვაწლის დაუფიქვებლად ხსოვნისა (ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნის, წერილობითი ტრადიციის აქტივაციასაც), რაც, ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ასევე, ძველი აღთქმის გამოცდილებითაც უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

მშობლიურ მხარეში დამარხვის სურვილი არ ასვენებს იაკობს და შესთხოვს იოსებს:

„და ვითარცა მოიწივნეს დღენი სიკუდილისა იაკობისნი; მოუწოდა იოსებს, ძესა თვსსა, და ჰრქუა: უკუეთუ ვპოვე მაღლი წინაშე შენსა, დამდევ კელი შენი წყვილთა ჩემთა და პოოს ჩემ თანა მოწყალება და ჭემმარიტება, რათა არა დამფლა მე ეგვპტეს./არამედ დავეფლა მე მამათა ჩუენთა თანა და განმიღე მე ეგვპტით და დამფალ საფლავსა მამათასა, ხოლო მან თქუა: ეგე ვყო./და ჰრქუა მას: მეფუცე მე! და ეფუცა იგი და თაყუანის-სცა ისრაილ წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა“ (დაბ. 47: 29-31); (დაბ.48: 21; 49:29).

მომავალი სამარხის, ძვალშესალაგისთვის ზრუნავს იოსებიც: *„და აფუცა იოსებ ძეთა ისრაელისათა და ჰრქუა: მოხედვასა მას, ოდეს მოგხედოს თქუენ ღმერთმან, თანა-აღიხუენით თქუენ ძუალნი ჩემნი თქუენ თანა“* (დაბ. 50:24). *„და მიიხუნა მოსე ძუალნი იოსებისნი მის თანა, რამეთუ ფიცით აფუცა იოსებ ძეთა ისრაელისათა, მეტყუელმან: მოხილვასა მას, რომლითა მოგხედოს თქუენ უფალმან, თანა-აღიხუენით ძუალნიცა ჩემნი ამიერ თქუენ თანა“* (გამ. 13:19).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნეშტთა/ძვალთა, საფლავთა თავყანისცემა მეხსიერების აქტუალიზაციის საფუძველი და ერის/ჯგუფის ერთობის საწინდარია. იგი, მეხსიერების აქტუალიზაცია *„განაპირობებს ადამიანთა ჯგუფის საჭიროებას, თავიანთი ცხოვრება დაუკავშირონ წარსულის ამა თუ იმ ფაქტს თუ მოვლენას. როცა ეს საჭიროება ქრება, ადგილი (ფაქტი/მოვლენა – ხ.წ.) კარგავს შემაკავშირებელ ძალას და იგი თანდათან ქრება“* (Winter-ის მოსაზრება მოხმობილია ჩიქოვანი, 2022, გვ. 82).

აღნიშნული მასალის საფუძველზე გვეძლევა მყარად ფორმულირებული ბიბლიური მოდელი-ბი საკუთარი თავისა და სამშობლოს კვლავმომპოვება-მომძიების გზების შესახებ შინ და გადასახლების/განსახლების ადგილას, ამ მოდელებს იმეორებს ჰაგიოგრაფიული ნარატივიც. ძველმა აღთქმამ – დაბ. 3:23–24 – შემოგვინახა ცოდნა სამკვიდროდან პირველყოფილი გამოსვლა-გადასახლების შესახებ, რაც იძულებითი აქტია და იგი პირველმშობელთა – ადამისა და ევას – ცოდვით დაცე-

მის შედეგი. სამოთხეში ჩადენილი პირველცოდვის გამო ადამი გაუუცხოვდა ღმერთსაც და იმ სამკვიდროსაც, რომელიც მანამდე ბუნებრივი, შუებისა და სიხარულის მომტანი იყო მისთვის. „კაცობრიობისთვის დასმულ ყველაზე ტრაგიკულ შეკითხვას: „ადამ, სადა ხარ?“ მეორე მხარეც გააჩნია: – „სადა ხარ, უფალო?“ გაუცხოების იმ პირველი საბედისწერო მომენტის შემდგომ ადამიანები ღმერთს ეძებენ ყველგან და ყოველგვარი ფორმით“ (სამაგლიშვილი, 2025, გვ. 9-10). კაცობრიობის მთელი შემდგომი ისტორიაც დაკარგული ღმერთის ძიების, თავდაპირველი სამყოფლის, არქესივრცის მოპოვებისა ამ ტრაგიკული გაუცხოების ძლევის ისტორიაა.

სამოთხიდან დევნილობის შემდეგ კაცობრიობის ცოდვისა და მასზე აღსრულებული ღვთის ახალი სასჯელის შესახებ მოგვითხრობს „დაბადების“ მე-4 თავი (დაბ. 4:11-16). კაენი მოკლავს აბელს და უფლისგან სასჯელად ისევ და ისევ „მოხეტიალედ და დევნილად“ ყოფნა განეწესება. მამულიდან განდევნა/გასვლა, უცხოობა ფიზიკური განადგურების საფრთხის შემცველია. ეს შიში იკითხება კაენის სიტყვებში:

„და უკუეთუ განმამებ მე დღეს პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან შენისა დავიმალო და იყოს, ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე“. ამ ფიზიკურ შიშსა და შფოთვის დაუცველობისა უქარვებს კაენს უფალი: „ჰრქუა მას უფალმან ღმერთმან: არა ეგრეთ ყოველმან მომკლველმან კაინისმან შჯდნი შურის-ძიებანი დაქსნნეს. და დასდვა უფალმან ღმერთმან სასწაული კაინს არა მოკლვად მისა ყოვლისაგან მპოვნელისა მისისა“ (დაბ. 4: 15-16).

ადამისა და ევას მსგავსად უფალმა დედამიწაზე წრიალი სასჯელად განუწესა ძმისმკვლელ კაენსაც: „და აწ წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განალო პირი თვისი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისასა კელისაგან შენისა/ რამეთუ ჰმურებოდი (დამუშავებ) ქუეყანასა და არა შესძინოს ძალი თვისი მოცემად შენდა, იწროებით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა“ (დაბ. 4: 11-12).

სამოთხიდან დევნილობის შემდეგ ადამიანი დაუსრულებლად ხეტიალობს, მსხემობს და წრიალებს მიწაზე. ამასთანავე, ბიბლიური ეგზეგეტიკა უდაბნოს ცხოვრებას, მომთაბარე, მსხემური ცხოვრების წესს უფლისაგან მოწონებულად, აღიარებულად მიიჩნევს და განადიდებს. მოიწონა, შეიყვარა და იდეალად მიიჩნია უფალმა აბელის მწყემსური ყოფა, მისი საქმიანობა და ცხოვრების წირი.

„რჩეული ერის წინაპრად აირჩია მოხეტიალე აბრაამი, რომელიც გამოიყვანა მან მთვარის ქალაქიდან, ახეტიალა ის ქანაანში, არა და არ დაამკვიდრა, მხოლოდ მის შთამომავლობას ჰპირდებოდა დამკვიდრებას; ასევე ახეტიალა იაკობი ქანაანიდან არამში (სირიაში). სირიიდან ქანაანში, ქანაანიდან ეგვიპტეში, მხოლოდ მისი ძვლები დაამკვიდრა აღთქმულ ქვეყანაში. დავით მეფეც ახეტიალა, აწრიალა უცხოობაში და დევნილებაში და როცა დაამკვიდრა, მაშინ შეექმნა საცთურის საშიშროება, მაშინ დაეცა. ასევე ახეტიალებდა იგი მთელს რჩეულ ერს და ეს ხეტიალი, ეს ხანა მისი სიჭაბუკის ხანად იყო შერაცხილი. და ბოლოს, ხეტიალობდა ტომიდან ტომში ისრაელის სიწმიდე – რჯულის კიდობანი, ვიდრე დაამკვიდრეს ერთ ადგილზე, სადაც აუგეს მას ტაძარი და სწორედ – აგების დღიდანვე გაორდა რწმენა“ (კიკნაძე, 1989, გვ. 20).

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევებისა და კაენისადმი განწესებული განაჩენით დასტურდება, რომ მამულიდან განდევნა სასჯელის ფორმაა, მიუსაფრობისა და დაუცველობის გამომხატველი და ფიზიკური განადგურების საფრთხის შემცველი. მაგრამ, ამასთანავე, უფლის წყალობისა და ზრუნვის დასტურიც.

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) შეკითხვას – თუ რატომ გამოდევნა უფალმა ადამი სამოთხიდან? – უპასუხებს:

„ადამის განდევნა მისადმი ღმერთის სიყვარულის გამოვლინება იყო. შინაგანი სამოთხის დაკარგვის შემდეგ ღმერთთან სიახლოვე არათუ სასიხარულო, მტანჯველიც კი გახდა. სამოთხეში რომ დარჩენილიყო ადამი, თვით სამოთხე გადაიქცეოდა მისთვის მარადიულ

წამებად, კიდევ უფრო დაიტანჯებოდა ღმერთთან ჰარმონიული ურთიერთობის დაკარგვის გამო... „ზოგიერთი ღრმად მოაზროვნე ღმრთისმეტყველი ამბობს, რომ ჯოჯოხეთური წამება ღმრთის უკანასკნელი მოწყალეობაა ცოდვილი კაცისადმი – ფიზიკური ტანჯვა ავიწყებს მას ყველაზე უფრო საშინელ სულიერ სატანჯველს, ღმრთისაგან დატევების სასოწარკვეთას“ (აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ მსჯელობისას ეყრდნობა წმ. ირინეოს ლიონელის, წმ. ათანასე დიდისა და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის განმარტებებს). <https://karibche.ge/qristianulickhovreba/markhva/6783-adamis-gadzeveba-samothkhidan.html>

ის, რომ ცოდვა განსაზღვრავს ადამიანის მწირობის, ხეტიალისა და ძიების გზას მართალი ნოეს ისტორიითაც დასტურდება. ცოდვის გამო იწყება გლობალური განკითხვა და ადამიანთა მიგრაცია წარღვნის შემდეგ ახალ ცხოვრებაში (დაბ. 6–9 თავები).

აბრაამის გამობრძობაც ურიდან ქანაანში (დაბ. 12:1–9) ნებაყოფლობითი მიგრაციის ნიმუშია და ღვთის მითითებით, წოდებით ხდება: და ჰრქუა უფალმან აბრაჰამს: „*გამოვედ ქუეყანისაგან შენისა, და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანად, რომელიცა გიჩუენო შენ*“ (დაბ. 12:1). ურიდან აბრაამის გამობრძობა ცხოვრების ძველი წესის უარყოფის, რწმენითი ცნობიერებისა და უფლის უპირობო მორჩილების გამომხატველია.

იაკობის შრომა და დევნილობა ლაბანთან (ჰარანში) (დაბ. 27–31 თავები) ძმის რისხვისა და მტრობისაგან თავდახსნის, გადარჩენის, სამკვიდროდან იძულებითი გაქცევისა და უხილავისადმი რწმენითი მიყოლის დასტურია. უცხო მიწაზე ხანგრძლივი ცხოვრება მშობლიურ მხარეში იაკობის ძლევამოსილი დაბრუნებით სრულდება. ძველი აღთქმა ემოციურ-სახეობრივი სიმკვეთრით გვესაუბრება გმირის ფიზიკურ-სხეულებრივ და სულიერ-სამშვინველისეულ მახასიათებლებზე შინ და უცხო გარემოში. უცხოობის, უსამშობლობის დიდი ტკივილი, სიმძაფრე და მონატრება სდევს თან იაკობის ჰარანში მყოფობას და ეს ყველასთვის ხილულია – „*მოგნატრებია მამაშენის სახლი*“ (დაბ. 31: 30). სამშობლოდან შორს მყოფობის სიმძიმეზე თავადაც გვესაუბრება:

„შევიწვებოდე სიციხითა დღისათა და ნეფხვითა (ყინვით) ღამისათა და განყენებულ იყო ძილი თუალთაგან ჩემთა. ესე ოცი წელი არს ჩემი, ვინათგან ვარ მე სახლსა შენსა. გმონე შენ ათოთხმეტი წელი ორთა ასულთა შენათაჲს და ექუს წელ ცხოვართა შენთა ზედა და შეურაცხ-ჰყავ ყოველი სასყიდელი ჩემი ათთა მათ ტარიგათაჲს. არა თუმცა ღმერთი მამისა ჩემისა აბრაჰამისა იყო ჩემ თანა და შიში ისაკისი, აწ ცალიერიმცა გამომავლინე მე. სიმდაბლე ჩემი და შრომაჲ კელთა ჩემთა იხილა ღმერთმან და გამხილა გუშინ“, – მიმართავს იაკობი ლაბანს (დაბ.31:40-42).

იოსების დევნა-შევიწროება, ღალატი, გაცემა, მონობა, დამკვიდრება და პატივი უცხო მიწაზე, ებრაელების ემიგრაცია ეგვიპტეში, მონობა და მონობიდან თავდახსნის გზები (დაბ. 37–50 თავები) ის ისტორიებია, რომლებსაც ეფუძნება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურაში, და არა მხოლოდ, თემატურად იდენტური ისტორიების რეფლექსია.

უსამშობლობის ტკივილის, უცხოობის სიმძიმისა და ტანჯვა-ტკივილის ძლევის მოდელეზიც განსაზღვრულია ძველი აღთქმის წიგნებით. ეს ტკივილი, განსაცდელი მოიცავს და იპყრობს ადამიანური არსებობის სამივე სფეროს – სულიერს, სამშვინველისეულსა და სხეულებრივს. ხეტიალისა და მიუსაფარი ცხოვრების თანამდევი ხდება ოფლის ღვრა და არსებობისათვის ტანჯვა-ვნება. ედემის ბაღში მიწა, რომლის დამუშავება და რომლის მსახურება მართებდა ადამს, სიამოვნებისა და ბედნიერების მომტანი იყო მისთვის: „*და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა, და დაადგინა იგი სამოთხესა მას საშვებელისასა საქმედ მისა და დაცვად*“ (დაბ.2: 15), სამოთხიდან გამოძევების შემდეგ კი მიწა, წუთისოფელი სატანჯველად ექცევა კაცს. ადამისადმი უფლისაგან განწესებული სასჯელი კი ამგვარია:

„რამეთუ ისმინე ჳმად ცოლისა შენისაჲ და სჳამე ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არაჳამად, მისგან სჳამე, წყუელ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჳამდე

მას ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა/ეკალსა და კურომსთავსა აღმოგიცნებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა,/პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებულნი, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3:17-19).

კაენის მიერ აბელის სისხლის დაღვრის შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა ურთიერთობა ადამიანსა და მიწას შორის. „*თუ ადამის ცოდვის მიზეზით მიწა დაიწყევლა (ადამს ამიერიდან ოფლით უნდა მოიპოვებინა სარჩო), კაენის ცოდვის მიზეზით თავად კაენი დაიწყევლა მიწისაგან, რადგან ის ვერ ემსახურა მიწას, ვერ დაიცვა მისი სიწმიდე – შებღალა იგი სისხლით. მას კი, როგორც ადამს, მიწის დაცვა ევალებოდა (2:15)*“ (კიკნაძე, 2012, გვ.39-40). „*და აწ წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განაღო პირი თვისი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისასა კელისაგან შენისა. / რამეთუ ჰმურებოდი ქუეყანასა და არა შესძინოს ძალი თვისი მოცემად შენდა, იწროებით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა“ (4:11-12).*

იდეებებიან პირველადამიანები „*სამოთხისაგან საშუებელისა*“ (საშუებელი – ჩვილი, ფუფჩი-ქოვანიფუნეული, განსაცხრომელი, სათუთი ადგილი, რომელიც მხიარულება-განცხრომასთან, „შუება“, „შუებულებასთან“, კეთილდღეობა-უზრუნველობასთანაა დაკავშირებული (აბულაძე, 1973, გვ. 377). ძველი აღთქმის მამამთავრები სხვადასხვა გზით ძლევენ ედემის ბაღიდან დევნილობის ტკივილს. იოსებს ძის – მენაშეს – შობა დაავიწყებს უცხოობის, უსამშობლობის მტანჯველ განცდას: „*და უწოდა სახელი იოსებ პირმშოსა მას მანასე და თქუა: დამავიწყა მე ღმერთმან ყოველი საღმობაჲ ჩემი და ყოველი მამისა ჩემისა (სახლი)*“ (დაბ. 41: 51). ეს ბიბლიური მოტივი არაერთგზის დადასტურდება ჰაგიოგრაფიულ თუ ზოგადად, მხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებში.

ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთის ნებით, იოსებისათვის ტყვეობა, უცხო მიწაზე მკვიდრობა თვისთა, ნათესავთა ხსნისა და შეწევნის საფუძველი ხდება, ამ დიადი მისიის შეგნება ყოველგვარ ტკივილსა და განსაცდელს აძლევინებს იოსებს და უფლის რწმენის, აღიარების, ცოდვათა მიტევაბის, სიყვარულის, შემწყნარებლობისა და თავდადების უიშვიათეს მაგალითს გვთავაზობს: „*ხოლო აწ ნუ სწუხობ, ნუცა ფიცხელ-გიჩნ თქუენ, რამეთუ მომყიდეთ მე აქა, რამეთუ ცხორებისა თქუენისათვის მომავლინა მე ღმერთმან წინაშე თქუენსა*“ (დაბ.45:5).

უცხო მიწაზე მკვიდრობით ღმერთმა დიდ ხალხად უნდა აქციოს იაკობის შთამომავალნი. დამეულ ხილვაში უფალი ჰპირდება იაკობს: „*მე ვარ ღმერთი მამათა შენთა, ნუ გემინინ შესლვად ეგვიტედ, რამეთუ ნათესავად დიდად გყო შენ მუნ*“ (დაბ. 47:3). ღმერთი ბოროტის კეთილად მომაქცეველია: „*თქუენ ზრახეთ ჩემთვის ბოროტი, ხოლო ღმერთმან ზრახა ჩემთვის კეთილი, რათა იყოს ვითარცა დღეს, რათა გამოიზარდოს ერი მრავალი*“ (დაბ. 50:20).

გამოსვლა ეგვიპტიდან (გამ. 1-15) დევნილობის ერთ-ერთი ცენტრალური სიუჟეტია. იგი სიმბოლური სახეა შინაგანი და სხეულებრივი მონობიდან გათავისუფლებისა, რომლის მოსაპოვებლად უკიდურესად რთულ, განსაცდელით სავსე გზას გაივლის ისრაელი.

ძველი აღთქმა გვთავაზობს სიუჟეტებს უცხოთა და მწირთადმი მიძღვნილი ქვეყნის მკვიდრთა შემწყნარებლური თუ უდიერი დამოკიდებულებების შესახებ, რაც ასევე ორიენტირად იქცა ჰაგიოგრაფიულ მწერლობისათვის შესაბამისი ისტორიების წარმოჩენა-განსახოვნებისას. შური და ბოროტი ზრახვები არ ასვენებთ ეგვიპტელებს. ინაყოფიერეს ისრაელიანებმა, გაფუფუნდნენ, მრავალრიცხოვანი შეიქნენ და მეტისმეტად გაძლიერდნენ. აავსეს მთელი ქვეყანა. დადგა ეგვიპტეში ახალი მეფე, რომელსაც არ გაეგონა იოსები. უთხრა თავის ხალხს: ხედავთ, ჩვენზე მრავალრიცხოვანია და ძლიერი ისრაელიანთა ხალხი. მოდით, როგორმე ვაჯობოთ ჭკუით, რომ არ გამრავლდეს. თუ ომი ატყდა, შეუერთდება ჩვენს მტრებს, აგვიმხედრდება და გავა ქვეყნიდან (გამ. 1: 7-10). მოსეს, როგორც სულიერი წინამძღოლის, სახე-ხატება განმსაზღვრელი გახდა წმინდა მამათა ცხოვრება-მოწამეობის აღმწერელი მონათხრობებისა. მოსეს გახდა პარადიგმა უფლის უზენაესობის აღიარების, წინამძღოლისა და ხალხის ურთიერთობაში არსებული სირთულეების ძლევის, მონობისა და თავისუფლების საზრისის გაგების (გამ. 14 თ.).

მოსეს მიერ ისრაელიანთა უდაბნოში გასვლასა და 40 წლიანი ხეტიალის შესახებ მოგვითხრობს ძველი აღთქმის „რიცხვთა“ და „მეორე რჯულის“ წიგნები. ბაბილონის ტყვეობის ისტორიას

მოგვიტხოვროს IV მეფეთა, II ნეშტთა, წინასწარმეტყველთა – იერემიას, ეზეკიელის, დანიელის წიგნები, 137 (136) ფსალმუნთა. საგულისხმოა დანიელისა და მისი მეგობრების გადასახლების ისტორია ბაბილონში (დან. 1-6), ახალგაზრდების განათლების წადილი და უცხო კულტურულ გარემოში სარწმუნოების დაცვა-შენარჩუნებისათვის ბრძოლის შეუპოვარი ისტორიები. საგულისხმოა ესთერისა და მორდოქის ცხოვრების ისტორია სპარსეთის იმპერიაში. იქ თავჩენილი სირთულეები და აღსრულებული სასწაულები.

კვლევის პირველ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო ძველი აღთქმის ტექსტებში უცხოობა/უსამშობლობის, მწირობა-ლტოლვილობის სახე-ხატების, სიუჟეტების, თემებისა და მოტივების გამოვლენა-კლასიფიკაცია, რათა მათი ეგზეგეზის, წმინდა მამათა სწავლებების საფუძველზე, შედარებითი და ინტერტექსტუალური კვლევის მეთოდის გამოყენებით, შევძლოთ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში შესაბამისი კონცეპტებისა და სახე-ხატების გამოვლენა-კლასიფიკაცია, მათი მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი და ენობრივ-ტერმინოლოგიური ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი: „მეცნიერება“.
- კარელინი, რ. (2011). ადამის გაძევება სამოთხიდან, <https://karibche.ge/qristianuli-ckhovreba/markhva/6783-adamis-gadzeveba-samothkhidan.html>
- კიკნაძე, ზ. (1989). საუბრები ბიბლიაზე, თბილისი: „მეცნიერება“.
- სამაგლიშვილი, ნ. (2025). ხარობს თუ არა ყველა უკუღმა ჩარგული ჩითილი: რელიგიურობისა და ეკლესიურობის არასწორი გაგების თაობაზე, „გული გონიერი“, 29. 9-38. თბილისი: „ფასეულობათა კვლევის საზოგადოება“.
- ჩიქოვანი, ნ. (2022). მთაწმინდის პანთეონი – მეხსიერების ადგილი და იდენტობის სიმბოლო, მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო (კრებულის შემდგენლები: სტივენ ჯონსი და მალხაზ თორია), თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ძველი აღთქმა, მცხეთური ხელნაწერის მიხედვით, Orthodoxy.ge <https://www.orthodoxy.ge> ...
- Assmann, J. (2015). Memory and culture. In: D. Nikulin (Ed.). *Memory: A History* (325-351). Oxford: Oxford University Press.

References:

- Abuladze, I. (1973). *Dzveli kartuli enis leksik'oni*. [Dictionary of the Old Georgian Language]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Assmann, J. (2015). Memory and culture. In: D. Nikulin (Ed.). *Memory: A History* (325-351). Oxford: Oxford University Press.
- Chikovani, N. (2022). *Mtats'mindis p'antheoni – mekhsierebis adgili da ident'obis simbolo*. In: *Mekhsierebis adgilebi da kartuli natsionaluri ident'obis simboluri garemo* (eds. Steven Jones, Malkhaz Toria). [The Pantheon of Mtatsminda – a Place of Memory and a Symbol of Identity, Places of Memory and the Symbolic Environment of Georgian National Identity (compilers of the collection: Stephen Jones and Malkhaz Toria)]. Tbilisi: Ilia State University.
- Dzveli aghtkma. Mtskheteri khelnats'eris mikhedvit. [The Old Testament, according to the Mtskheta manuscript]. Orthodoxy.ge <https://www.orthodoxy.ge> ...
- K'arelin, R. (2011). *Adamis gadzeveba samothhidan*. [Adam's Expulsion from Paradise]. <https://karibche.ge/qristianuli-ckhovreba/markhva/6783-adamis-gadzeveba-samothkhidan.html>
- K'ik'nadze, Z. (1989). *Saubrebi Bibliiaze*. [Conversations on the Bible]. Tbilisi: Metsniereba.
- Sadzaglishvili, N. (2025). *Kharobs tu ara q'vela uk'ughma charguli chitili: religiurobisa da ek'lesiurobis arasts'ori gagebis taobaze. Guli Gonieri*. [Do all seedlings planted upside down rejoice: on the misunderstanding of religiosity and ecclesiasticism, “The Wise Heart”]. 29, 9–38. Tbilisi: „paseulobata kvlevis sazogadoeba“.